



“არა ფობიას” განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტული კომენტატორების დისკრიმინაციულ გამონათქვამებზე

პლატფორმა "არა ფობიას" A ნევრი არასამთავრობო ორგანიზაციები ვებმაურებით საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლირებისას, სპორტული კომენტატორების მიერ გაკეთებულ ქსენოფობიურ და რასისტულ განცხადებებს და მოვუწოდებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის სპორტულ კომენტატორებს, თავი აარიდონ დისკრიმინაციული განწყობების გაღვივებას.

22 ივნისს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, სერბეთი-შვეიცარიის მატჩის ტრანსლირებისას, სპორტული კომენტატორების, გიგა გვენცაძის და დავით ბანანაშვილის მხრიდან, ადგილი ჰქონდა ქსენოფობიურ და რასისტულ განცხადებებს.

შვეიცარიის ნაკრების შემადგენლობის განხილვისას კომენტატორებმა ყურადღება ფეხბურთელების რასობრივ წარმომავლობაზე გააკეთეს:

დავით ბანანაშვილი: "შვეიცარიის ნაკრებში, წმინდასისხლის შვეიცარიელი ძალიან ცოტა ფეხბურთელია, ვინც ძირითად შემადგენლობაში თამაშობს... მეკარე სომერზე თუ ვიტყვით ამას და რამოდენიმე მოთამაშეზე..."

გიგა გვენცაძე: "შაჩირი, ჯაკა, ბეჰრამი, ჯემაილი, ნახევარი გუნდი შვეიცარიის ნაკრების წარმომადგენლები არიან."

დავით ბანანაშვილი: "არც რიკარდო როდრიგესია სუფთა სისიხლის შვეიცარიელი, ესპანელ ჩილელი, აკანუინიგერიელია."

ფეხბურთელთა რასობრივი კუთვნილების მიხედვით დაყოფა და პიროვნების დახასიათება ბიოლოგიური წარმომავლობის ნიშნით (**ქიმიკა** (წმინდა) სისიხლის") ქსენოფობური და რასისტული განწყობების მატარებელია.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად:

„იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისა, დისკრიმინაციისა ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შეზღუდვის აღმოსაფხვრელს.“

მოცემულ შემთხვევაში კომენტატორებმა მოახდინეს ფეხბურთელების ისეთ თვისებაზე ხაზგასმა, როგორიცაა მათი ეთნიკური კუთვნილება. პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, არ არსებობდა ეთნიკურ კუთვნილებაზე განსაკუთრებული ხაზგასმის აუცილებლობა. შესაბამისად, ჩვენი აზრით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაარღვია მაუწყებელთა შესახებ კანონის 56-ე მუხლი.

მოვუწოდებთ სპორტულ ჟურნალისტებს და საზოგადოებრივ მაუწყებელს გაითვალისწინონ კანონმდებლობით და მაუწყებლობელთა ქცევის კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებები და თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რომელიც გააღვივებს არატოლერანტობას, რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმომადგენლობის საფუძველზე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ხელმძღვანელი ორგანიზაციები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

მედიის განვითარების ფონდი (MDF)

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების

BBSA-საქართველო

საფარი

თანასწორობის მოძრაობა